საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-570

13/07/2018

ქ. თბილისი

ქ. საჩხერეში შპს „დრაი ჯორჯიას“ ინერტული მასალის (ქვიშის) გადამამუშავებელი საწარმოს პროექტის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „დრაი ჯორჯიას“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. საჩხერეში ინერტული მასალის (ქვიშა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად შპს „დრაი ჯორჯიას“ ინერტული მასალის (ქვიშა) გადამამუშავებელმა საწარმომ საქმიანობა დაიწყო 2018 წლიდან. იგი განთავსებულია ქ. საჩხერეში. საწარმო მდ. ყვირილადან დაშორებულია 102 მეტრით, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 170 მ-ით. (ს.კ 35.01.45.107).

ინერტული მასალა (კარიერული გარეცხილი კვარციტის ქვიშა) საწარმოში შემოდის სატვირთო ავტომობილებით და იყრება საწარმოს მიმღებ ბუნკერში, მიმღები ბუნკერიდან ქვიშა ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით მიეწოდება საშრობ დოლს, რომლის წარმადობაა 10 ტ/სთ-ში. აღნიშნულ საშრობ დოლში ქვიშის შრობა ხორციელდება ქვანახშირის ხარჯზე. 1 ტონა ქვიშის შრობაზე იხარჯება 20 კგ ქვანახშირი, ანუ ქვანახშირის საათობრივი ხარჯი შეადგენს 200 კგ საათში. საშრობი დოლიდან გამოყოფილი აირმტვერნარევი გაივლის ციკლონებს (ორი ცალი) რომელთა ჯამური ეფექტურობა ტოლია 90 %-ის და ატმოსფეროში გაიფრქვევა 12 მეტრისა და 0.52 მ დიამეტრი მილის საშუალებით. ზემოაღნიშნული ფილტრების მაღალი ეფექტურობიდან გამომდინარე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა იქნება უმნიშვნელო.

საშრობ დოლში გამომშრალი ქვიშა შემდგომ ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება ქვიშის საცრელ დანადგარს, საიდანაც ის ელევატორის საშუალებით იყრება ოთხ ცალ ქვიშის სილოსში, რომელთაგან თითოეულის მოცულობა 90 $მ^3$ ანუ 120 ტონაა.

გამომშრალი და გაცრილი ქვიშის მომხმარებლებისთვის გაცემა ხდება ქვიშის სილოსებიდან სატვირთო ავტომობილებში ჩაყრით.

ქვიშის საშრობი დანადგარის საპროექტო წარმადობა შეადგენს 10 ტ/სთ, ანუ 20800 ტ/წელიწადში, რისთვისაც წელიწადში საჭიროა 416 ტონა ქვანახშირი.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ადგილი აქვს მცირე რაოდენობით მავნე ნივთიერებების გაფრქვევას ატმოსფეროში, ესენია: არაორგანული მტვერი, აზოტის ორჟანგი, ნახშირჟანგი, გოგირდის ორჟანგი და ჭვარტლი. საწარმოს ფუნქციონირებისას, ქვიშის გაცრისას წარმოქმნილი კენჭები, რომლის რაოდენობა დღის განმავლობაში არ აღემატება 0.5 ტონას გამოყენებული იქნება გზების მოშანდაკებისათვის.

საწარმოში წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. წყალით მომარაგება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო წყლების ჩაშვება ხორციელდება საასენიზაციო ორმოში, რომლის დაცლა ხდება პერიოდულად.

საქმიანობის განხორციელებისას კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ შპს „Geo Sand"-ის ქვიშის სარეცხი საწარმოსთან, თუმცა გადასამუშავებელი ქვიშის მაღალი სინოტივიდან გამომდინარე, ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

ქვიშის საშრობი დანადგარის ოპერირებისას შესაძლებელია მოხდეს თხევადი საწვავის ავარიული დაღვრა მხოლოდ ავტოტრანსპორტიდან, თუმცა საწარმოში მანქანების საწვავით გამართვა არ ხორციელდება. საწარმოში სახანძრო უსაფრთხოების მიზნით იგეგმება სახანძრო სტენდის დამონტაჟება.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიახლოვეს არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები.

საქმიანობა არ არის დაგეგმილი შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე. ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „დრაი ჯორჯიას" ინერტული მასალის (ქვიშის) გადამამუშავებელი საწარმოს პროექტი **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „დრაი ჯორჯია" ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „დრაი ჯორჯიას";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „დრაი ჯორჯიას" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. საჩხერის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი